

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან არაბიძე

მულტიმოდალური ანესთეზია აბდომინურ პლასტიკასა და
ბარიატრიულ ქირურგიაში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2024

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

პროფესორი იამზე თაბორიძე

მმდ ნოდარ ლებანიძე

ოფიციალური ოპონენტები:

მედიცინის დოქტორი, კახა ნურალიძე

მედიცინის დოქტორი, სამსონ ქაჯაია

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2024 წლის 28 ივნისს
საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის მედიცინის
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N25

შესავალი

აქტუალობა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ოპიოიდები იყო ყველაზე ხშირად გამოყენებული მეორე ნარკოტიკი; ოპიოიდები ძალზე ეფექტურია ANS-ის რეაქციის კონტროლში ნოციციპციაზე და ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პოსტოპერაციული ტკივილის კონტროლში.

ოპიოიდების ბოროტად გამოყენების ეპიდემიამ გარკვეული სტიმული მისცა ზოგადი ანესთეზიისთვის ოპიოიდებიდან სხვა დამხმარე საშუალებებზე გადასვლას. არსებობს მტკიცებულებები, რომ პერიოპერაციული ოპიოიდებით ანესთეზიამ შეიძლება ხელი შეუწყოს პოსტოპერაციული ოპიოიდების ბოროტად გამოყენებას, მულტიმოდალური მიდგომა, რა თქმა უნდა, შეამცირებს ოპიოიდების დოზადამოკიდებულ გვერდით ეფექტებს პერიოპერაციულ პერიოდში და შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონიოს პოსტოპერაციულ ოპიოიდების ბოროტად გამოყენებაზე[Egan TD, 2018].

ტკივილი აღწერილია, როგორც უსიამოვნო სენსორული ან ემოციური გამოცდილება [Khera T, 2021]. ტკივილის გზა შედგება ტრანსდუქციისგან, გადაცემისგან, მოდულაციისგან და აღქმისგან[Yam MF, 2018].

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) და ტკივილის შესწავლის საერთაშორისო ასოციაციის (International Association for the Study of Pain - IASP) ერთობლივად გამოქვეყნებულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „ტკივილის მართვა არის ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება და იგი უნდა გადაიქცეს გლობალურ რეალობად“[Giusti E.M. 2021].

ანესთეზიის ნებისმიერი რაციონალური სტრატეგია ფოკუსირებული უნდა იყოს ინტრაოპერაციული და პოსტოპერაციული ტკივილის კონტროლზე [Aldrete JA. 2017]. ცნობილია ოპიოიდების უარყოფითი ზემოქმედება ადრეული პოსტოპერაციული პერიოდის მიმდინარეობაზე. ამ პრეპარატების ტრადიციული გვერდითი ეფექტების გარდა (ცნობიერების დათრგუნვა, გადაჭარბებული სედაცია, გულისრევა

და ა.შ.), მათ გააჩნიათ უნარი, შექმნან ოპიოიდით გამოწვეული ჰიპერალგეზია, იმუნოსუპრესიული ეფექტი და შეამცირონ ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების მოქმედება; გარდა ამისა, ოპიოიდური ანალგეზია ხელს უშლის პაციენტების დაჩქარებულ პოსტოპერაციული რეაბილიტაციას. მულტიმოდალური ანალგეზიის კონცეფცია საშუალებას იძლევა უარი ითქვას ოპიოიდური ანალგეტიკების გამოყენებაზე ან შემცირდეს მათი დოზა მინიმუმამდე პერიოპერაციულ პერიოდში. მულტიმოდალური ანალგეზია გულისხმობს ორი ან მეტი წამლის ერთდროულ მიღებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მწვავე ტკივილის სინდრომის ფორმირების სხვადასხვა დონეზე [Ramirez MF, 2020].

ზოგადი ანესთეზიისა და პოსტოპერაციული ანალგეზიის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას ნარკოტიკული და არანარკოტიკული ანალგეტიკების კომბინაციით თან ახლავს ჰემოდინამიკური პარამეტრების ზრდა - როგორც ოპერაციის დროს, ასევე პოსტოპერაციული პერიოდის ოთხი დღის განმავლობაში [Allen, 2021].

მართვის სტრატეგია, საანესთეზიო არჩევანი და საანესთეზიო დოზები უნდა იყოს ადაპტირებული ინდივიდუალური პაციენტის საჭიროებებზე [Brown EN, 2018] არაოპიოიდური ანესთეზია არის საანესთეზიო ტექნიკა, სადაც ოპიოიდები არ გამოიყენება ინტრაოპერაციულ პერიოდში (არც სისტემატური, არც ნეიროაქსიალური ან ინტრაკავიტარული). ამ ტიპის ანესთეზიის დროს ოპიოიდების თავიდან აცილება შესაძლებელია პოსტოპერაციულ პერიოდშიც, რითაც შემცირდება ოპიოიდებთან დაკავშირებული გვერდითი ეფექტების რაოდენობაც. ოპიოიდები კვლავ არის ერთ-ერთი მთავარი პრეპარატი, რომელსაც ზოგადი ანესთეზია ეფუძნება. ასევე, ისინი აუცილებელია ტკივილის მკურნალობაში ინტრა და პოსტოპერაციულ პერიოდში. რაც არ უნდა ეფექტური იყოს ეს წამლები, ისინი დაკავშირებულია უამრავ გვერდით მოვლენებთან: ძილიანობა, თავბრუსხვევა, ყაზობა, გულისრევა და ღებინება, სუნთქვის დათრგუნვა, ქავილი, შარდის შეკავება [Velayudhan A, 2014]. ჰიპერალგეზია განისაზღვრება, როგორც გაზრდილი რეაქცია მტკივნეულ სტიმულებზე, გამოწვეული ოპიოიდების ზემოქმედებით. თუ ინტრაოპერაციულ პერიოდში მეტ ოპიოიდს მივცემთ, პოსტოპერაციულ პერიოდში მით მეტი ოპიოიდი იქნება საჭირო. ამას ეწოდება ოპიოიდების ტოლერანტობა. პაციენტები,

რომლებიც იღებენ ფენტანილის უფრო მაღალ დოზებს ოპერაციის დროს, მუდმივად ესაჭიროებათ ოპიოიდების უფრო მაღალი დოზები პოსტოპერაციულ პერიოდში, იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებიც იღებენ ოპიოიდების დაბალ დოზებს [Lee M, 2011]. ნაჩვენებია, რომ ტკივილის მულტიმოდალური მკურნალობა საუკეთესო საშუალებაა ოპიოიდების მოხმარების შესამცირებლად. მულტიმოდალური ანალგეზია გულისხმობს სიმპათოლიზური პრეპარატების და არაოპიოიდური ანალგეტიკების გამოყენებას. ამ პრეპარატებს შეუძლიათ შეამცირონ ან თავიდან აიცილონ ოპიოიდების გამოყენება პოსტოპერაციულ პერიოდში [Toleska M, 2019]. მულტიმოდალური მიდგომა საშუალებას იძლევა შემცირდეს თითოეული ინდივიდუალური წამლის დოზა, გამოიყენოს სინერგიული ეფექტი წამლებს შორის, რითაც ამცირებს წამლების გვერდითი ეფექტებს.

შემეცნება განისაზღვრება, როგორც ტვინის უნარი შეიძინოს, დაამუშავოს, შეინახოს და მოიძიოს ინფორმაცია. ტკივილი აღწერილია, როგორც უსიამოვნო სენსორული ან ემოციური გამოცდილება და ტკივილის შეგნებულად განცდისთვის, აუცილებელია კოგნიტიური დამუშავება [Khera T, 2021]. ტკივილის გზა შედგება ტრანსდუქციისგან, გადაცემისგან, მოდულაციისგან და აღქმისგან [Yam MF. 2018].

ზოგადი ანესთეზიისა და პოსტოპერაციული ანალგეზიის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას ნარკოტიკული და არანარკოტიკული ანალგეტიკების კომბინაციით თან ახლავს ჰემოდინამიკური პარამეტრების ზრდა - როგორც ოპერაციის დროს, ასევე პოსტოპერაციული პერიოდის ოთხი დღის განმავლობაში [Gomon NL, 2014]. მართვის სტრატეგიას უნდა განსაზღვრავდეს პაციენტის მდგომარეობა დასაანესთეზიო არჩევანი და საანესთეზიო დოზები უნდა იყოს ადაპტირებული ინდივიდუალური პაციენტის საჭიროებებზე [Stenberg E. 2022] ქირურგიული ტექნოლოგიების პროგრესმა მკვეთრად აამაღლა ოპერაციული მკურნალობის ეფექტურობა. მიუხედავად თანამედროვე დახვეწილი და დამზოგავი ოპერაციული ტექნიკისა, იზრდება მოთხოვნა ანესთეზიის ხარისხზე, პირველ რიგში კი მის ანალგეზიურ კომპონენტზე. აუცილებელი გახდა ტრადიციული ანესთეზიოლოგიური მიდგომების გადახედვა.

საყოველთაოდ ცნობილია ოპოიდური ანალგეტიკების მოქმედების უარყოფითი თვისებები, გვერდითი მოქმედებები და

გართულებები. დღის წესრიგში დადგა ანესთეზიოლოგიური დახმარების სახეცვლილება, რომელიც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ გართულებები. დღეისათვის ამ პრობლემის გადაწყვეტასთან მიახლოებულია მულტიმოდალური მიდგომა, რაც გულისხმობს სხვადასხვა დონის, მრავალმიზნობრივ ანტინოციცეფციას, რომლის საშუალებითაც მიიღწევა მაქსიმალური ეფექტი. მულტიმოდალური ანესთეზია არის - სხვადასხვა მოქმედების მექანიზმის ორი ან მეტი ანალგეტიკის ან გაუტკივარების მეთოდის მოქმედების საშუალებით, მაქსიმალური ეფექტის მიღწევა.

მულტიმოდალური ანალგეზია არის - პერიფერიულ და/ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, განსხვავებული მოქმედების მექანიზმის მექანიზმით მედიკამენტებითა და ტექნიკით ზემოქმედება (შესაძლებელია არაფარმაკოლოგიურ ტექნიკასთან ერთად), სინერგიული და ადიტიური ეფექტით, რომლითაც შესაძლებელი იქნება მეტად მაღალი ხარისხის ანალგეზიის მიღწევა, ვიდრე ამ პრეპარატების ცალ-ცალკე გამოყენებით მულტიმოდალური ანალგეზიის არსს წარმოადგენს:

სხვადასხვა პრეპარატების კომბინაცია მათი დაბალი დოზებით გამოყენება, დოზადამოკიდებული გვერდითი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად ანალგეტიკების ფრაქციონირება პერიოპერაციული პერიოდის ყველა ეტაპზე -(პრეოპერაციულად, ინტრაოპერაციულად და პოსტოპერაციულად) Opioid free ზოგადი ანესთეზია - განისაზღვრება, როგორც ოპიოიდ დამზოგველი ტექნიკის სხვადასხვა კომბინაცია, ინტრა და პოსტოპერაციულად ოპიოიდების გამოყენების შემცირებისათვის. ჩვენი კვლევის მიზანია მულტიმოდალური ანესთეზიის შეფასება ბარიატრიული ქირურგიისა და აბდომინოპლასტიკის დროს

კვლევის ამოცანები:

1. ოპოიდური ანალგეტიკების შემცირებისა და ჩანაცვლების მულტიმოდალური ანესთეზიის სქემის შერჩევა.
2. პაციენტის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი ანესთეზიის სხვადასხვა ტიპის გამოყენების დროს
3. პოსტოპერაციული მწვავე ტკივილის კორელაციების დადგენა ანესთეზიის სხვადასხვა ტიპთან.
4. კოგნიტური მახასიათებლების შეფასება მულტიმოდალური ანესთეზიის დროს.

5. ნეიროლოგიური მახასიათებლების შეფასება მულტიმოდალური ანესთეზიის დროს
6. აჟიტაცია-სედაციის შეფასება მულტიმოდალური და ოპიოიდებით ანესთეზიის დროს;
7. ანესთეზიის გართულებების ფარდობითი რისკის შეფასება;

სამეცნიერო სიახლე:

პირველად დადგინდა: პერიპერაციული ტკივილის მახასიათებლები მულტიმოდალური ანესთეზიის გამოყენებისას აბდომინალური პლასტიკისა და ბარიატრიული ოპერაციების დროს; ჩატარდა კოვნიტური მახასიათებლების შედარება მულტიმოდალური ანესთეზიისა და ოპიოიდებით ანესთეზიის დროს; დადგინდა კორელაციები პაციენტის მახასიათებლებსა და ანესთეზიის სახეობას შორის.

პრაქტიკული ღირებულება:

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს მულტიმოდალური ანესთეზიის დანერგვას ყოველდღიურ პრაქტიკაში.

პერიოპერაციული ანესთეზიის ოპტიმიზაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს ოპიოიდების გამოყენება ოპერაციების დროს, რაც ოპიოიდებზე დამოკიდებულების შემცირების წინაპირობაა.

შრომის შედეგების საფუძველზე დამყარებული პრაქტიკული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება მოდალური ანესთეზიის დაგეგმვისას ბარიატრიული ოპერაციებისა და აბდომინური პლასტიკური ოპერაციების დროს.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი (აქტუალობა, მიზანი, ამოცანები, მეცნიერული სიახლე, პრაქტიკული ღირებულება); ლიტერატურის მიმოხილვა; მასალა და მეთოდები; საკუთარი შედეგები(4 თავი), მიღებული შედეგების განხილვა; დასკვნები; პრაქტიკული რეკომენდაციები. ბიბლიოგრაფია მოიცავს 200 წყაროს, დისერტაცია წარმოდგენილია 164 გვერდზე

თავი II

მასალა და მეთოდები

ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 203 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ბარიატრიული ოპერაცია(რომელი); მათგან 113(55.67%) ქალი და 90(44.33%) კაცი.

ჩატარდა კონტროლირებადი არარანდომიზებული კვლევა

სტანდარტული ანესთეზია ოპოიდებით ჩაუტარდა 49(24.14%) პაციენტს - I ჯგუფი, მულტიმოდალური+ოპოიდების ნაწილობრივი გამოყენებით - II ჯგუფი: 76(37.44%), მულტიმოდალური ანესთეზია - 78(38.42%) - III ჯგუფი.

ჩართვის კრიტერიუმები:

პაციენტები, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეთ აბდომინოპლასტიკა ან ბარიატრიული ოპერაცია.

20-70 წლის ასაკი, ინფორმირებული თანხმობა კვლევაში ჩართვაზე

გამორიცხვის კრიტერიუმები:

უარი კვლევაში ჩართვაზე, კოგნიტური დარღვევებით მიმდინარე დაავადებები, მძიმე სისტემური პათოლოგიები,

I ჯგუფში გამოყენებულ იქნა ოპოიდები, III ჯგუფში - მულტიმოდალური ანესთეზია, ხოლო მეორეში - მათი კომბინაცია. დოზირება ხდებოდა პაციენტის ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით.

კვლევის მეთოდები:

ანამნეზი ანკეტირება, ინვაზიური და არაინვაზიური მონიტორინგი.

შეფასებულ იქნა პაციენტის მზადყოფნა გაწერისთვის პოსტ-ანესთეზიური ზრუნვიდან: I Phase PACU – 1,2,3 და II Phase PACU – 1,2,3.


შედეგების სტატისტიკური ანალიზი

კვლევის მასალა დამუშავდა სტატისტიკურად პარამეტრული და არაპარამეტრული ანალიზის მეთოდების გამოყენებით. საწყისი ინფორმაციის მოგროვება, კორექტირება, სისტემატიზაცია და მიღებული შედეგების ვიზუალიზაცია სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა IBM SPSS 23 პროგრამის (შემუშავებული IBM Corporation) გამოყენებით. თვისობრივი მონაცემები წარმოდგენილია სიხშირისა და %-ის სახით, შედარება მოვახდინეთ ფიშერის F კრიტერიუმის და χ^2 კრიტერიუმების გამოყენებით. ფაქტორებს შორის კავშირი დადგინდა სპირმენის რანგული კორელაციური ანალიზის გამოყენებით, ეფექტის ფარდობითი ინდიკატორების შედარებისას, ჩვენ გამოვიყენეთ ფარდობითი რისკი (RR)

თავი III

3.1. საკუთარი მასალის დახასიათება


პაციენტთა განაწილება პოსტანესთეზიური მოვლის 1 ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით მოცემულია 3.1.1 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.1

როგორც ვხედავთ, მულტიმოდალური ანესთეზიის დროს მაღალია PACU1, ხოლო ოპოიოდებით მკურნალობისას PACU 2

პაციენტთა განაწილება პოსტანესთეზიური მოვლის 2 ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით მოცემულია 3.1.2 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.2

მულტიმოდალური ანესთეზიის დროს მაღალია PACU1

3.2. პოსტოპერაციული ტკივილი და მულტიმოდალური ანესთეზია ბარიატრიულ ქირურგიასა და აბდომინოპლასტიკის დროს

ტკივილის ლოკალიზაცია ოპერაციის შემდეგ მოცემულია 1 ცხრილში

ცხრილი 3.2.1. ტკივილის განაწილება ლოკალიზაციისა და ანესთეზიის სახეობის მიხედვით

პოსტოპერაციული მოვლის ფაზები	ტკივილის ლოკალიზაცია	I ჯგუფი (ოპიოიდებით) n=49	II ჯგუფი (მულტიმოდალური+ოპიოიდების ნაწილობრივი გამოყენებით)	III ჯგუფი (მულტიმოდალური) n=78	F	P

				თ) n=76					
		n	%	N	%	n	%		
I ფაზა	ნაოპერაციული ბარემი	47	95.92	43	56.58		17.95	58.12	<0.0001
	თავის	19	38.78	9	11.84	1	1.28	20.94	<0.0001
	ყელის	10	20.41	4	5.26	0	0.00	10.94	<0.0001
	წელის	20	40.82	14	18.42	4	5.13	14.17	<0.0001
	კუნთების	25	51.02	15	19.74	2	2.56	26.98	<0.0001
II ფაზა	ტკივილიწელის	9	18.37	3	3.95	0	0.00	10.38	0.0001
	ტკივილიკუნთების	11	22.45	8	10.53	0	0.00	9.77	0.0001

პოსტანესთეზიური მოვლის I ფაზაში პოსტოპერაციული ტკივილი ასე განაწილდა: ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა ტკივილი ნაოპერაციულ არეში, ხოლო ყველაზე იშვიათია ყელის ტკივილი.

ოპოიდებით ანესთეზიის დროს მეორე და მესამე ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ტკივილი, როგორც საოპერაციო არეში, ისე თავის, ყელის, წელისა და კუნთების ტკივილი.

მულტიმოდალური ანესთეზიის დროს სარწმუნოდ ნაკლებია ტკივილი ყველა შემთხვევაში, ხოლო ტკივილი ყელის არეში არ აღინიშნა.

კორელაციები ანესთეზიის სახეობასა და ტკივილს შორის ბარიატრიული ოპერაციების დროს მოცემულია 3.2.2 ცხრილში

ცხრილი 3.2.2. კორელაციები ანესთეზიის სახეობასა და პოსტოპერაციულ ტკივილს შორის

ანესთეზიის სახეობასა და

ფაქტორები		ანესთეზია ოპიოიდებ ით	მულტიმოდალუ რი+ოპიოიდების ნაწილობრივი გამოყენებით	მულტიმოდა ლური ანესთეზია
ტკივილი ნაოპერაციებ არეში	r	0.504**	0.083	-.526**
	p	0.000	0.240	0.000
თავის ტკივილი	r	0.395**	-0.054	-0.294**
	p	0.000	0.444	0.000
ყელის ტკივილი	r	0.301**	-0.050	-0.215**
	p	0.000	0.480	0.002
წელის ტკივილი	r	0.320**	-0.006	-0.275**
	p	0.000	0.933	0.000
კუნთების ტკივილი	r	0.422**	-0.018	-0.353**
	p	0.000	0.797	0.000
* - $p < 0.05$, ** - $p < 0.01$				


კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ანესთეზია ოპიოიდებით სარწმუნო კორელაციურ კავშირშია ოპერაციის შემდგომ ტკივილთან, მაშინ როდესაც მულტიმოდალური ანესთეზია სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ყველა სახის პოსტოპერაციულ ტკივილთან.

II ფაზაში ოპიოიდებით ანესთეზიის ჯგუფში მეორე ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ტკივილი წელისა და კუნთების არეში, ხოლო მესამე ჯგუფში ტკივილი საერთოდ არ დაფიქსირდა.

პაციენტთა განაწილება ტკივილის სიძლიერის მიხედვით II ფაზაში მოცემულია 3.2.1 დიაგრამაზე.

ჯგუფებს შორის სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა იმ პაციენტების სიხშირის მიხედვით, რომლებიც ოპერაციის შემდეგ ტკივილის კუპირებისათვის არ საჭიროებდნენ მედიკამენტოზურ მკურნალობას,

არაოპოიდების საჭიროება სარწმუნოდ მეტია II ჯგუფში, ხოლო
 ოპოიდების საჭიროება სარწმუნოდ მეტია III ჯგუფში.



დიაგრამა 3.2.1

ინტრაჰოსპიტალურ და პოსტჰოსპიტალურ ეტაპებზე ტკვილის ხარისხი მოცემულია 3 ცხრილში.

ცხრილი 3. ტკვილის ხარისხის შეფასება ინტრაჰოსპიტალურ და პოსტჰოსპიტალურ ეტაპებზე

პოსტ ინტენსიური ეტაპები	ტკვილის ხარისხი	I ჯგუფი n=49 პაციენტი		II ჯგუფი გამოყენებული ით n=76		III ჯგუფი ით n=78		F	P
		n	%	n	%	n	%		
ინტრაჰოსპიტალური	საჭიროებს არაოპოიდურ მედიკამენტურ მკურნალობას	2	57.1	25	32.8	2	2.56	91.17	<0.0001
	არაოპოიდურ მედიკამენტურ მკურნალობას	8	4		9				
	საჭიროებს ოპოიდურ მედიკამენტურ მკურნალობას								

	საჭიროებს ოპიოიდურ მედიკამენტუ რ მკურნალობას	2 0	40.8 2	19	25.0 0	0	0.00	73.9 6	<0.000 1
პოსტ ჰოსპი ტალ ური	საჭიროებს არაოპიოიდუ რ მედიკამენტუ რ მკურნალობას	1 8	36.7 3	9	11.8 4	0	0.00	21.1 5	<0.000 1

როგორც ცხრილიდან ჩანს, იმ პაციენტთა სიხშირე, რომელთაც ინტრაჰოსპიტალურ ეტაპზე ესაჭიროებოდათ მედიკამენტოზური მკურნალობა, სარწმუნოდ ნაკლებია მულტიმოდალური ანესთეზიის შემდეგ. ამ ჯგუფში ოპიოიდური მკურნალობა არ დასჭირვებია არც ერთ პაციენტს.

ამბულატორიულ ეტაპზე მულტიმოდალური ანესთეზიის ჯგუფში მედიკამენტური მკურნალობა არ დასჭირვებია არც ერთ პაციენტს, ხოლო არაოპიოიდური მკურნალობა დასჭირდა სარწმუნოდ ნაკლებ პაციენტს II ჯგუფში.

3.3.კოგნიტური მახასიათებლები მულტიმოდალური ანესთეზიის დროს


პაციენტები თანმხლები სიმსუქნით აჩვენებენ მომატებულ მგრძნობელობას ოპიოიდით გამოწვეული სედაციისა და რესპირატორული დეპრესიის მიმართ.

ქირურგიაში პერიოპერაციული ოპიოიდური დატვირთვის შესამცირებლად გამოიყენება სხვადასხვა მულტიმოდალური საანესთეზიო ტექნიკა. მულტიმოდალური ანესთეზია ხელს უწყობს ადრეულ პოსტოპერაციულ აქტივაციას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ავადმყოფი სიმსუქნით დაავადებული პაციენტებისთვის[68].

კოგნიტური მახასიათებლების შესწავლამ ბარიატრიულ ქირურგიასა და აბდომინოპლასტიკაში გამოყენებული მულტიმოდალური ანესთეზიის

დროს გვიჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავებები კოგნიტურ მახასიათებლებში, ოპოიოდებით ანესთეზიასა და შერეულ ანესტეზიასთან შედარებით(ცხრილი 3.3.1.)

მულტიმოდალური ანესთეზიის დროს აღინიშნა ოპერაციის შემდგომი კოგნიტური მახასიათებლების უკეთესი მდგომარეობა, კერძოდ მხერითი დავალებების, დროსა და სივრცეში ორიენტაციისა და ვერბალური კონტაქტის 100%-იანი და ყურადღების კონცენტრაციის 97.44%-იანი შედეგი, რაც სარწმუნოდ მეტია დანარჩენი ორი ჯგუფის შედეგებზე.



ცხრილი 3.3.1. კოგნიტური მახასიათებლების შეფასება პოსტანესთეზიური მოვლის მეორე ფაზაში (ინტენსიური თერაპიის პალატა)

ფაქტორები	1 ჯგუფი		2 ჯგუფი (ნაწილობრივი გამოყენებით)		3 ჯგუფი		F	P
	n=49		n=76		n=78			
კოგნიტური ფუნქციების დარღვევა	13	26.53	8	10.53	0	0.00	12.68	<0.0001

პოსტანესთეზიური მოვლის მეორე ფაზაში კოგნიტური ფუნქციების დარღვევა აღარ აღინიშნება მესამე ჯგუფში, ხოლო მეორე ჯგუფში სარწმუნოდ ნაკლებია პირველ ჯგუფთან შედარებით.

3.4.აჟიტაცია-სედაციის შეფასება მულტიმოდალური და ოპიოიდებით ანესთეზიის დროს

ტკივილის, აჟიტაციისა და სედაციის მართვა მთავარი ფაქტორებია ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. ჩვენს მიერ შეფასებული იქნა პაციენტის ოპერაციის შემდგომი მდგომარეობა რიჩმონდის სკალის მიხედვით, ოპიოიდების გამოყენებისას და მულტიმოდალური ანესთეზიის დრო.

ოპერაციის შემდგომ, ინტენსიური მოვლის 1 ფაზაში რიჩმონდის სკალის მიხედვით, აჟიტაცია-სედაციის საშუალო მნიშვნელობა მულტიმოდალური ანესთეზიის ჯგუფში იყო -0.06 ± 0.29 , ხოლო ოპიოიდების ჯგუფში -0.78 ± 1.42 ქულა, ($p < 0.0001$).

პაციენტთა განაწილება აჟიტაციის მიხედვით მოცემლია 3.4.1.ცხრილში

ცხრილი 3.4.1. ინტენსიური მოვლის 1 ფაზაში რიჩმონდის სკალის მიხედვით, აჟიტაცია-სედაციის განაწილება მულტიმოდალური და ოპიოიდებით ანესთეზიის დროს

Score	ოპიოიდებით N=49 n(%)	მულტიმოდალური N=78 n(%)	Total N=127 n(%)
-3	4(8.2%)	0(0.0%)	4(3.1%)
-2	15(30.6%)	0(0.0%)	15(11.8%)
-1	10(20.4%)	6(7.7%)	16(12.6%)
0	9(18.4%)	71(91.0%)	80(63.0%)
1	9(18.4%)	1(1.3%)	10(7.9%)
2	1(2.0%)	0(0.0%)	1(0.8%)
3	1(2.0%)	0(0.0%)	1(0.8%)
□□273.67,df=6,P<0.0001			

როგორც ცხრილიდან ჩანს, მულტიმოდალური ანესთეზიის დროს, ოპიოიდებით ანესთეზიასთან შედარებით, რიჩმონდის აგიტაციის სკალა 0 და მასთან ახლოს საგრძნობლად მაღალია. მულტიმოდალური

ანალგეზიის დროს, არაოპიოიდური ანალგეტიკების გამოყენება ოპერაციის შემდეგ დაჩქარებული აღდგენის ძირითადი კომპონენტია.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა ფხიზელი და მშვიდი პაციენტების მნიშვნელოვნად მაღალი სიხშირე მულტიმოდალური ანესთეზიის შემდეგ, ვიდრე ოპიოიდური ანესთეზიის შემდეგ.

3.5. ნეიროლოგიური მახასიათებლების შეფასება მულტიმოდალური ანესთეზიის დროს

მულტიმოდალური ზოგადი ანესთეზიის გამოყენება აფართოებს „დაბალანსებული ანესთეზიის“ კარგად დამკვიდრებულ კონცეფციას და მოიცავს უფრო მეტ წამლებს, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა ნეიროანატომიურ წრეებზე და მრავალ ნეიროფიზიოლოგიურ მექანიზმებზე. კონცეფციის ფარმაკოლოგიური საფუძველი ემყარება კარგად დადგენილ დაკვირვებას, რომ მოქმედების სხვადასხვა რეჟიმის მქონე საანესთეზიო საშუალებების ერთდროული გამოყენებისას, ისინი იძლევიან სინერგიულ ეფექტს.

ნეიროლოგიური მახასიათებლები პოსტანესთეზიური მოვლის პირველ ეტაპზე მოცემულია 3.5.1. ცხრილში

ღებინების, აჟიტაციისა და რეფლექსების დარღვევის სიხშირე სარწმუნოდ მაღალი იყო 1 ჯგუფში, ვიდრე მეორეში ხოლო მესამე ჯგუფში საერთოდ არ დაფიქსირებულა. პირველ ჯგუფში სარწმუნოდ მეორე და მესამე ჯგუფებთან შედარებით სარწმუნოდ მაღალი იყო კანკალი, ქავილი და მზერისდაფიქსირება, სარწმუნოდ ნაკლები იყო მიზანმიმართულითვალღიაობა.

ჩხვლეტისა და ტემპერატურის მგრძნობელობა, აგრეთვე სახსარში კონტროლირებადი მოძრაობა სარწმუნოდ მეტი იყო მესამე ჯგუფში, ხოლო პირველ და მეორე ჯგუფებში განსხვავებ არ იყო სარწმუნო.

ცხრილი 3.5.1. ნეიროლოგიური მახასიათებლები პოსტანესთეზიური მოვლის პირველ ეტაპზე

ფაქტორები		1 ჯგუფი n=49		2 ჯგუფი n=76		3 ჯგუფი n=78		F	P
ნეიროლო	ღებინება	17	34.69	7	9.21	0	0.00	21.22	<0.0001
	კანკალი	35	71.43	20	26.32	6	7.69	40.94	<0.0001

გიური მახას იათე ბლებ ი	აჟიტაცია	8	16.33	3	3.95	0	0.00	8.65	0.0002
	ქავილი	28	57.14	18	23.68	10	12.82	17.70	<0.0001
	რეფლექსე ბის დარღვევა	7	14.29	3	3.95	0	0.00	7.05	0.0011
	მიზანმიმა რთულით ვალდიაო ბა	24	48.98	55	72.37	77	98.72	27.05	<0.0001
	მზერისდ აფიქსირე ბა	25	51.02	21	27.63	1	1.28	27.05	<0.0001
მგრძ ნობე ლობა	ჩხვლეტა	40	81.63	62	81.58	76	97.44	5.81	0.0035
	ტემპერატ ურა	30	61.22	52	68.42	75	96.15	14.99	<0.0001
სახსა რშიმ ოდრა ობა	პასიური	27	55.10	62	81.58	78	100.00	25.79	<0.0001
	კონტრო ლირებად ი	24	48.98	41	53.95	75	96.15	27.75	<0.0001

ნეიროლოგიური მახასიათებლები პოსტანესთეზიური მოვლის მეორე ფაზაში მოცემულია ცხრილი 3.5.2 ცხრილში

ცხრილი 3.5.2. ნევროლოგიური და კოგნიტური მახასიათებლების შეფასება პოსტანესთეზიური მოვლის მეორე ფაზაში(ინტენსიური თერაპიის პალატა)

ფაქტორები	1 ჯგუფი		2 ჯგუფი		3 ჯგუფი		F	P
	n=		n=		n=			
	49		6		78			
თავბრუსხვე ვა	12	24.49	4	5.26	0	0.00	14.69	<0.0001
ღებინება	11	22.45	5	6.58	0	0.00	11.64	<0.0001
კანკალი	21	42.86	11	14.47	1	1.28	23.40	<0.0001
აჟიტაცია	2	4.08	0	0.00	0	0.00	3.23	0.0417
ქავილი	8	16.33	6	7.89	1	1.28	5.18	0.0064

პოსტანესთეზიური მოვლის მეორე ფაზაში(ინტენსიური თერაპიის პალატა), სამივე ჯგუფში აღინიშნება ნევროლოგიური დარღვევების შემცირება, მეორე და მესამე ჯგუფი არ არის აჟიტაცია, მესამე ჯგუფში - ღებინება და თავბრუსხვევა. კანკალი და თვბრუსხვევის სიხშირე სარწმუნოდ მეტია პირველ ჯგუფში და სარწმუნოდ ნაკლებია მესამე ჯგუფში. კოგნიტური ფუნქციების დარღვევა აღარ აღინიშნება მესამე ჯგუფში, ხოლო მეორე ჯგუფში სარწმუნოდ ნაკლებია პირველ ჯგუფთან შედარებით.

3.6. გართულებების რისკის შეფასება მულტიმოდალური და ოპიოიდებით ანესთეზიის დროს

ტკივილის ოპტიმალური შემსუბუქება მოითხოვს ბალანსს ადექვატურ ანალგეზიასა და გვერდითი ეფექტების რისკს შორის.

ჭარბწონიან და სიმსუქნე პაციენტებს ზოგადი ოპერაციის შემდეგ დაგვიანებული გამოღვიძების განსაკუთრებით მაღალი რისკი აქვთ[24].

არაოპიოიდური ანესთეზია (OPA) არის ოპიოიდებზე უარის თქმა პრე, ინტრა და პოსტოპერაციული ტკივილის სამკურნალოდ, რათა შემცირდეს ოპიოიდებთან დაკავშირებული გართულებები პაციენტის კომფორტის შელახვის გარეშე. ამ ტიპის ანესთეზიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა ოპიოიდებით გამოწვეული ჰიპერალგეზიის პრევენცია, რაც იწვევს ტკივილის გაძლიერებას და, შესაბამისად, მოითხოვს ოპიოიდების უფრო მაღალი დოზების გამოყენებას ადექვატური ანალგეზიისთვის.

კვლევის შემდეგ ეტაპზე გამოვითვალეთ ოპიოიდებით ანესთეზიის შემდგომი პოსტ ანესთეზიური ზრუნვის ხანგრძლივობის ფარდობითი რისკი მულტიმოდალური ანესთეზიის შემდგომ ხანგრძლივობასთან შედარებით(ცხრილი 3.6.1)

ცხრილი 3.6.1. ოპიოიდებით ანესთეზიის შემდგომი პოსტ ანესთეზიური ზრუნვის ხანგრძლივობის ფარდობითი რისკის შეფასება მულტიმოდალური ანესთეზიის შემდგომ ხანგრძლივობასთან შედარებით

პოსტ ანესთეზიური ზრუნვის ხანგრძლივობა	RR	95%CI(RR)	F	P
---------------------------------------	----	-----------	---	---

I Phase PACU – 1	0.00	-	-	73.12	<0.0001
I Phase PACU – 2	0.12	0.02	0.81	11.23	0.0011
I Phase PACU -3	50.3 2	7.16	353.53	193.17	<0.0001
II Phase PACU -1	0.03	0.01	0.10	1159.54	<0.0001
II Phase PACU-2	2.39	1.63	3.52	7.23	0.0081
II Phase PACU-3	10.7 5	5.56	20.80	393.45	<0.0001

პოსტპერაციული ზრუნვის პირველ ფაზაში ოპიოიდებით ანესთეზიისას მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით სარწმუნოდ მცირეა ფაზა 2 და იზრდება ფაზა 3-ის ფარდობითი რისკი.

პოსტპერაციული ზრუნვის მეორე ფაზაში ოპიოიდებით ანესთეზიისას მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით სარწმუნოდ მცირეა PACU 1 და სარწმუნოდ იზრდება PACU-2-ის და PACU-3-ის ფარდობითი რისკი.

სუნთქვის პარამეტრების დარღვევის ფარდობითი რისკის შეფასება მულტიმოდალური ანესთეზიასთან შედარებით მოცემულია 3.6.2. ცხრილში

ცხრილი 3.6.2. ოპიოიდებით ანესთეზიის შემდგომი სუნთქვის პარამეტრების დარღვევის ფარდობითი რისკი

ფაქტორები	RR	95%CI-RR		F	P
სუნთქვის მოცულობა	2.81	2.21	3.58	10.71	0.0014
სუნთქვის სიხშირე	2.73	2.17	3.45	6.82	0.0101
ტემპერატ. 37 ⁰ >	2.90	2.27	3.72	14.98	0.0002
pCO2	2.81	2.21	3.58	10.71	0.0014

ოპიოიდებით ანესთეზიის დროს მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შეარებით, სარწმუნოდ მეტია სუნთქვის პარამეტრების დარღვევის ფარდობითი რისკი.

ოპიოიდებით ანესთეზიის შემდგომი ნეიროლოგიური მახასიათებლების დარღვევის ფარდობითი რისკის შეფასება შეფასება მულტიმოდალური ანესთეზიასთან შედარებით მოცემულია 3.6.3. ცხრილში

ცხრილი 3.6.3. ნეიროლოგიური მახასიათებლების დარღვევის ფარდობითი რისკის შეფასება

ფაქტორები		RR	95%CI-RR		F	P
1 ფაზა	ღებინება	3.44	2.57	4.60	40.78	<0.0001
	კანკალი	5.24	3.19	8.61	98.35	<0.0001
	აჟიტაცია	2.90	2.27	3.72	14.98	0.0002
	ქავილი	3.12	2.05	4.75	35.67	<0.0001
	რეფლექსების დარღვევა	2.86	2.24	3.65	12.80	0.0005
	თვალღიაობა მიზანმიმართული	0.25	0.17	0.35	70.33	<0.0001
	მზერის დაფიქსირება	4.05	2.83	5.79	70.33	<0.0001
	ჩხვლეტა	0.42	0.29	0.61	10.11	0.0019
	ტემპერატურა	0.33	0.23	0.47	31.62	<0.0001
	სახსარში პასიური მოძრაობა	0.26	0.19	0.36	62.55	<0.0001
	მოძრაობა სახსრებში კონტროლირებადი	0.27	0.19	0.39	55.33	<0.0001
	თავის წამოწევა მიზანმიმართული	0.20	0.13	0.29	121.22	<0.0001
	თავბრუსხვევა	3.11	2.38	4.05	24.90	<0.0001
2 ფაზა	ღებინება	3.05	2.35	3.96	22.22	<0.0001
	კანკალი	3.58	2.57	4.98	50.07	<0.0001
	აჟიტაცია	2.66	2.12	3.33	3.27	0.0731
	ქავილი	2.56	1.82	3.59	11.08	0.0011

ოპიოიდური ანესთეზიის დროს მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით 1 ფაზაში სარწმუნოდ იზრდება ღებინების, კანკალის, აჟიტაციის, ქავილის, რეფლექსების დარღვევის ფარდობითი რისკი და მცირდება მგრძნობელობა ჩხვლეტის, ტემპერატურის, სახსარში პასიური მოძრაობის, სახსრებში კონტროლირებადი მოძრაობის, მიზანმიმართული თავის წამოწევის ალბათობა.

მეორე ფაზაში ოპიოიდური ანესთეზიის დროს მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით სარწმუნოდ იზრდება ლებინების, კანკალის, აჟიტაციის, ქავილის ფარდობითი რისკი.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევაფასეთ კოგნიტური დარღვევების ფარდობითი რისკი ოპიოიდური ანესთეზიის დროს მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით(ცხრილი 3.6.4.)

ცხრილი 3.6.4. კოგნიტური დარღვევების ფარდობითი რისკის შეფასება

		RR	95%CI RR		F	P
1 ფაზა	მზერითი დავალებები	0.25	0.18	0.35	67.91	<0.0001
	დროში დასივრცეში ორიენტაცია	0.22	0.15	0.32	94.22	<0.0001
	ყურადღების კონცენტრაცია	0.24	0.16	0.35	73.79	<0.0001
	ვერბალური კონტაქტი	0.22	0.15	0.32	94.22	<0.0001
2 ფაზა	კოგნიტიური ფუნქციების დარღვევა	3.17	2.42	4.15	27.72	<0.0001

პირველ ფაზაში მცირეა მზერითი დავალებების, დროში და სივრცეში ორიენტაციის, ყურადღების კონცენტრაციის, ვერბალური კონტაქტის ალბათობა. მეორე ფაზაში იზრდება კოგნიტიური ფუნქციების დარღვევის ფარდობითი რისკი

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტკივილს ოპერაციის შემდგომ.

შევაფასეთ ოპერაციის შემდგომი ტკივილის ფარდობითი რისკი ოპიოიდური ანესთეზიის დროს მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით(ცხრილი 3.6.5.)

ცხრილი 3.6.5. ტკივილის ფარდობითი რისკის შეფასება ოპიოიდური ანესთეზიის დროს მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით

	ტკივილის შეფასება	RR	95%CI RR		F	P
ინტენსიური თერაპიის	საჭიროებს არაოპიოიდებს	0.35	0.17	0.71	12.83	0.0005
	საჭიროებს	3.86	2.68	5.56	62.2	<0.000

პლატაში	ოპიოიდებს				3	1
ინტრაჰოსპ იტალურ ეტაპზე	საჭიროებს არაოპიოიდურ მედიკამენტურ მკურნალობას	4.31	2.92	6.37	80.3 4	<0.000 1
	საჭიროებს ოპიოიდურ მედიკამენტურ მკურნალობას	3.69	2.70	5.03	52.9 5	<0.000 1
ამბულატო რულ ეტაპზე	საჭიროებს არაოპიოიდურ მედიკამენტურ მკურნალობას	3.11	2.23	4.32	32.9 4	<0.000 1

ოპერაციის დროს ანესთეზია ოპიოიდების გამოყენებით მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით, პოსტოპერაციულ პერიოდში ინტრაჰოსპიტალურ ეტაპზე, ზრდის როგორც არაოპიოიდური მკურნალობის საჭიროების ფარდობით რისკს; ისე ოპიოიდური მკურნალობის საჭიროების ფარდობით რისკს. ხოლო ამბულატორულ ეტაპზე - მედიკამენტური მკურნალობის საჭიროების ფარდობით რისკს.

ამრიგად, მულტიმოდალური ანესთეზია ოპიოიდებით ანესთეზიასთან შედარებით, ამცირებს პოსტოპერაციული გართულებების რისკს.

3.7. კავშირი ანესთეზიის სახეობასა და პოსტოპერაციული მოვლის ფაზების ხანგრძლივობას შორის.

კვლევის შემდეგ ეტაპზე განვსაზღვრეთ კორელაციები ანესთეზიის სახეობასა და პოსტოპერაციული მოვლის ფაზებს შორის.

კორელაციები ანესთეზიის სახეობასა და პოსტოპერაციული მოვლის ფაზებს შორის წარმოდგენილია 3.7.1. ცხრილში

ცხრილი 3.7.1. კორელაციები ანესთეზიის სახეობასა და პოსტოპერაციული მოვლის ფაზებს შორის.

	I Phase			II Phase		
	PACU	PACU	PACU	PACU	PACU	PACU

		1	2	3	1	2	3
1 ჯგუფი	r	-0.608**	-0.287**	0.779**	-0.950**	0.234**	0.871**
	p	<0.001	0.001	.000	0.000	0.008	<0.001
2 ჯგუფი	r	0.608**	0.287**	-0.779**	0.950**	0.234**	0.871**
	p	<0.001	.001	<0.001	<0.001	0.008	<0.001
PACU - Poast Anesthesia Care Unit							

როგორც ცხრილიდან ჩანს, პოსტ ანესთეზიური მოვლის პირველ ფაზაში ოპიოიდებით მკურნალობა სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს PACU 1 და PACU 2-თან, ხოლო დადებითს - PACU 3-თან. პოსტ ანესთეზიური მოვლის მეორე ფაზაში ოპიოიდებით მკურნალობა სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს PACU 1 და სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს PACU 2-თან და PACU 3-თან, ხოლო მულტიმოდალური ანესთეზიის დროს - პირიქით.

დასკვნები:

1. მულტიმოდალური ანესთეზიის გამოყენება ოპერაციის დროს საშუალებას იძლევა თვიდან ავიცილოთ ოპიოიდების გამოყენება პერიოპერაციულ პერიოდში.
2. ოპერაციის დროს ანესთეზია ოპიოიდების გამოყენებით მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით, ზრდის გართულებების ფარდობით რისკს: სუნთქვის მოცულობა - RR=2.81(95%CI:2.21-3.58); სუნთქვის სიხშირე - RR=2.73(95%CI:2.17-3.45);ტემპერატ. 37° >RR=2.90(95%CI:2.273.72);pCO2 - RR=2.81(95%CI:2.21-3.58).
3. მულტიმოდალური ანესთეზიის გამოყენება აბდომინოპლასტიკასა და ბარიატრიულ ქირურგიაში ოპიოიდურ ანესთეზიასთან შედარებით დაკავშირებულია პოსტოპერაციული მოვლის ფაზების ხანგრძლივობის შემცირებასთან. ოპიოიდური ანესთეზიის დროს post anesthesia care unit ფარდობითი რისკი - I Phase PACU-2: RR=0.12(95%CI:0.02-0.81); I Phase PACU-3: RR=50.32(95%CI:7.16-353.53); II Phase PACU-1: RR=0.03(95%CI:0.01-0.10); II Phase PACU-2: RR=2.39(95%CI:1.63-3.52); II Phase PACU-3: RR=10.75(95%CI:5.56-20.80);

4. ოპერაციის დროს ანეთეზია ოპოიდების გამოყენებით მულტიმოდალურ ანესთეზიასთან შედარებით, პოსტოპერაციულ პერიოდში ინტრაჰოსპიტალურ ეტაპზე, ზრდის როგორც არაოპოიდური მკურნალობის საჭიროების ფარდობით რისკს - $RR=13.06(95\%CI: 6.03-28.29.56)$; ისე ოპოიდური მკურნალობის საჭიროების ფარდობით რისკს - $RR=7.50 (95\%CI: 4.43-12.70)$. ხოლო ამბულატორულ ეტაპზე - მედიკამენტური მკურნალობის საჭიროების ფარდობით რისკს - $RR=3.11(95\%CI: 2.23-4.32)$.
5. მულტიმოდალური ანესთეზიის გამოყენება აბდომინოპლასტიკასა და ბარიატრიულ ქირურგიაში ოპოიდურ ანესთეზიასთან შედარებით ამცირებს კოგნიტური და ნეიროლოგიური დარღვევების რისკს ოპერაციის შემდგომ პერიოდში.
6. მულტიმოდალური ანესთეზიის დროს მინიმალურია აჟიტაცია. რიჩმონდის სკალის მიხედვით, აჟიტაცია-სედაციის საშუალო მნიშვნელობა მულტიმოდალური ანესთეზიის ჯგუფში იყო - 0.06 ± 0.29 , ხოლო ოპოიდების ჯგუფში - 0.78 ± 1.42 ქულა, ($p<0.0001$).

პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. აბდომინური პლასტიკური ოპერაციების დროს და ბარიატრიულ ქირურგიაში რეკომენდებულია მულტიმოდალური ანალგეზია
2. მულტიმოდალური ანესთეზიის დაგეგმვისას საჭიროა პაციენტის ინიციალური მახასიათებლების გათვალისწინება.

David Aghmashenebeli University of Georgia

Copyright of the manuscript

Ketevan Arabidze

Dissertation submitted for the academic degree of Doctor of Medicine

Multimodal anesthesia in abdominoplasty and bariatric surgery

Thesis

Tbilisi

2024

Introduction

Relevance

In recent decades, opioids have been the second most commonly used drug; Opioids are highly effective in controlling the ANS response to nociception and have traditionally played an important role in postoperative pain control.

The opioid abuse epidemic has given some impetus to the shift from opioids to other adjuncts for general anesthesia. (initiated) There is evidence that anesthesia with perioperative opioids may promote postoperative opioid abuse, a multimodal approach would certainly reduce the dose-dependent side effects of opioids in the perioperative period and may have some effect on postoperative opioid abuse[1].

Pain is described as an unpleasant sensory or emotional experience, and cognitive processing is necessary to consciously experience pain[2]. The pain pathway consists of transduction, transmission, modulation, and perception [3].

The declaration jointly published by the World Health Organization (WHO) and the International Association for the Study of Pain (IASP) states that "pain management is one of the fundamental human rights and should become a global reality" [45].

Any rational anesthesia strategy should focus on intraoperative and postoperative pain control [4]. Adverse effects of opioids on the course of the early postoperative period are known. In addition to the traditional side effects of these drugs (depression of consciousness, excessive sedation, nausea, etc.), they have the ability to create opioid-induced hyperalgesia, immunosuppressive effects and reduce the effect of local anesthetics; In addition, opioid analgesia prevents accelerated postoperative rehabilitation of patients. The concept of multimodal analgesia allows to refuse the use of opioid analgesics or reduce their dose to a minimum in the perioperative period. Multimodal analgesia involves the simultaneous administration of two or more drugs that affect different levels of acute pain syndrome[5].

The use of traditional methods of general anesthesia and postoperative analgesia with a combination of narcotic and non-narcotic analgesics is accompanied by an increase in hemodynamic parameters - both during the operation and during the four days of the postoperative period⁶.

Management strategy, anesthetic choice and anesthetic doses should be adapted to the needs of the individual patient[7] Non-opioid anesthesia is an anesthetic technique where opioids are not used intraoperatively (neither systemic, neuraxial or intracavitary). With this type of anesthesia, opioids can also be avoided in the postoperative period, thus reducing the number of opioid-related

